# სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

*ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება, ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.*

*ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.*

***საქართველოს კონსტიტუცია***
***მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება***

2013 წლის 14 მაისს დაარსდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

ცენტრის საქმიანობა ეფუძნება:

- ,,გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის (ორჰუსი) პრინციპებს
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს
- გაეროს ევროპის ეკონომიკის კომისიის (UNECE) „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ სტრატეგიის ხედვებსა და მიმართულებებს

# ვინ ვართ ჩვენ

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიზანია:

- საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა
- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- სამინისტროს ერთიანი ინფორმაციული ტექნოლოგიური პოლიტიკის დანერგვა

# რას ვსაქმიანობთ

## გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება და ცნობიერების ამაღლება

### ფორმალური განათლება

#### სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება

- სახელმძღვანელოს შემუშავება და დანერგვა
- საბავშვო ბაღების აღმზრდელებისა და მეთოდისტების გადამზადება

#### ზოგადი განათლება

- სასკოლო სახელმძღვანელოებში მდგრადი განვითარების საკითხების ასახვის ინიცირება
- სახელმძღვანელოების ავტორებისა და შემფასებლების გადამზადება

#### უმაღლესი განათლება

- გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულების მოდულების დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამებში
- სამაგისტრო პროგრამა - გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა

#### პროფესიული განათლება

- მოდულის "გარემოსდაცვითი საფუძვლები" სწავლების ხელშეწყობა
- აგრარული პროფესიების საჭიროებების კვლევა და კურსების განვითარების ხელშეწყობა

## არაფორმალური განათლება

- ლექცია-სემინარები
- დისკუსიები
- ტრენინგები/სასწავლო კურსები
  - გარემოსდაცვითი მმართველი
  - გარემოსდაცვითი განათლება დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის
- მწვანე დღეების აღნიშვნა
- კადრების გადამზადება

## არაოფიციალური განათლება

- საინფორმაციო კამპანიები
  - ატმოსფერული ჰაერის დაცვა
  - “ნუ მოჭრი - მორთე” - წიწვოვნების ჭრის პრევენციისთვის
  - ჩვენი ქვეყნის წითელი ნუსხა
  - ტყის ხანძრების პრევენცია
  - საკვები პროდუქტების ეტიკეტირება
  - ქართული აგროპროდუქტის ხარისხის ნიშანი
- კონკურსები
  - მწვანე ჯილდო
- კინო-ჩვენებები

## სერტიფიცირება

- მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მომსახურე ტექნიკოსების სერტიფიცირება



რას ვსაქმიანობთ

# გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

- საჯარო განხილვების/დისკუსიების ორგანიზება
- საჯარო განხილვების შესახებ საზოგადოების ინფორმირება

## გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემა

eims.eiec.gov.ge

სისტემა და მობილური აპლიკაცია უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ინფორმაციის თავმოყრასა და ანალიზს ერთიან სივრცეში.



## ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი

air.gov.ge

პორტალზე განთავსებულია სხვადასხვა სადგურიდან და ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

# ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება

- ერთიანი ინფორმაციული ტექნოლოგიური პოლიტიკის დანერგვა
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება
- სამინისტროში არსებული კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრირება
- ერთიანი, ცენტრალური მონაცემთა ბაზების შექმნა და ანგარიშგების უზრუნველყოფა

## მნიშვნელოვანი პროექტები

- ფაროსანასთან ბრძოლის ელ-სისტემა
- ყურძნის აღრიცხვის ელ-სისტემა
- ცხოველთა მედიკამენტების აღრიცხვის პროგრამა
- სოფლის განვითარების სტრატეგიის მონიტორინგის სისტემა

*დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ, ისარგებლოთ ცენტრში არსებული გარემოსდაცვითი ბიბლიოთეკით ან/და მონაწილეობა მიიღოთ ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში:*

- *ლექცია-სემინარები*
- *დისკუსიები*
- *კამპანიები*
- *ტრენინგები*

**შეგიძლიათ, ჩაერთოთ მოხალისეობრივ საქმიანობაში ან გახდეთ ცენტრის სტაჟიორი**

## ცენტრი ასევე გთავაზობთ შემდეგ სერვისებს:

- ელექტრონული შეტყობინება
- მწვანე ასისტენტი
- დასვი შეკითხვა
- გამოწერა


გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

http://eiec.gov.ge

info@eiec.gov.ge

+995 32 2 11 20 23

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. 6